

## CURRICULUM VITAE

გვარი, სახელი - ბექაია გურამი

დაბადების წელი - 28 ოქტომბერი, 1929

მოქალაქეობა - საქართველოს მოქალაქე

ოჯახური მდგომარეობა - ცოლ-შვილიანი

მისამართი - 0102 თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის 23

ტელეფონი - 295 27 75, მობილური - 599 58 70 27

1953 - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, სპეციალობით - სამკურნალო საქმე

1954-1957 - ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი

1957-1961 - იქვე, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1959 - დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტეტანური და ტონური ნეირომოდულატორული ერთეულების ფუნქციური თავისებურებანი“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი - აკად. ივ. ბერიტაშვილი)

1961-1973 - იქვე, ინსტიტუტის სწავლული მდივანი, შეთავსებით სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

1973-1980 - იქვე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

1974-1976 (შეთავსებით) - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემათა განყოფილების (შემდგომში - ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება) სწავლული მდივანი

1981-1999 - ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

1985-2005 - იქვე, ლაბორატორიის გამგე

1990 - დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედებების ნათხემისეული კონტროლი“ (ოპონენტები - პროფესორები - ა. აირაპეტიანი (ერევანი), ა. ბატუევი (სანქტ-პეტერბურგი), ი. ლიმანსკი (კიევი), ერევანი, ლ. ორბელის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

1991 - სსრკ უმაღლესმა სადისერტაციო კომისიამ მიანიჭა პროფესორის წოდება

2005-2014 - ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამეცნიერო-საინფორმაციო განყოფილების უფროსი

2014 - დღემდე - იქვე, მეცნიერ-კონსულტანტი

1995 - არჩეულია საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად

1998 - არჩეულია საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად

2006 - არჩეულია რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკური აკადემიის აკადემიკოსად

2008 წლიდან - არის სამკურნალო-სადიაგნოსტიკო ცენტრის „რაიდმედის“ მთ. კონსულტანტი, სადაც ტარდება უნარშეზღუდული ბავშვების ნეიროფიზიოლოგიური გამოკვლევები ცხენოსნობის მკურნალობის სწორად წარმართვის მიზნით

### კვლევის ძირითადი მიმართულებები

- ქცევათმეცნიერების საკითხები
- ნათხემისა და დიდი ტვინის ურთიერთობა: ნათხემის როლი თავის ტვინის ინტეგრაციულ მოქმედებაში
- ტკივილისა და ანალგეზიის ცენტრალური მექანიზმები (ნეიროფიზიოლოგიური, ნეიროქიმიური, ნეიროფარმაკოლოგიური); აგრესიის ნეიროფიზიოლოგიური, ნერვული და ნეიროენდოკრინული მექანიზმები
- თავის ტვინის ელექტრულ გამოვლინებათა, სისხლის მიმოქცევისა და მორფოლოგიური ცვლილებების თავისებურებები სხვადასხვა ფარმაკოლოგიურ ნივთიერებათა ზეგავლენით და გამოწვეული პათოლოგიების პირობებში
- უკანასკნელ წლებში აწარმოებს ინტენსიურ გამოკვლევას უნარშეზღუდული ბავშვების (ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, აუტიზმი, ბავშვთა ცერებრული დამბლა და სხვ.) ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლის მიზნით რაიტთერაპიის (ცხენოსნობის მკურნალობის) პირობებში. ამ პრობლემაზე მისი თანაინიციატივით ჩატარდა 3 საერთაშორისო ფორუმი (2006, 2008 - თბილისი; 2012 - კიევი)

მონაწილეობა კონფერენციებში - მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ეროვნულ საერთაშორისო ფორუმში

მიღებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტები

1997-1999 - ტკვილის ენდოგენური ანალგეზია და ზოგიერთი ნარკოტიკული და არანარკოტიკული ანალგეტიკის მოქმედების ნეირონული მექანიზმების შესწავლა (15.6)

2000-2001 - ენდოგენური ანალგეზიის ქერქული მექანიზმები და ქცევითი აფექტურ-ემოციური კორელატების შესწავლა (15.3)

2002-2003 - ანალგეზიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების და ტკვილის გავლენა ცხოველთა ემოციურ ქცევასა და მეხსიერებაზე (15.9)

2004-2005 - ბაზალური ბირთვების როლი თავის ტვინის ქერქის ნეირონების მოდულაციაში და მათში მიმდინარე ჰემოდინამიკური ცვლილებები (15.2)

პროფ. გურამ ბექაის კონსულტაციით და ხელმძღვანელობით დაცულია 20 დისერტაცია, მათ შორის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში - 7

#### პედაგოგიური მოღვაწეობა

1969-1979 - ასისტენტი (საათობრივად) - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრაზე, პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა ქართულ და რუსულ სექტორებზე

1991-1997 - თსსუ-ს ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი (0.5 ს.ე.)

2001-2004 - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (0.5 ს.ე.), ლექციები რეზიდენტებისა და უმცროსი ექიმებისთვის; მაძიებლების ხელმძღვანელობა

2004-2006 - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ფუნდამენტური მედიცინის კათედრის პროფესორი - ლექციები რეზიდენტებისთვის, მოდულები უმცროსი ექიმებისთვის, მაძიებლების და ასპირანტების ხელმძღვანელობა

2005 - 2009 - პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემიაში ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე და ფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

გარდა ამისა, 1990-2005 - ატარებდა ლექციებს ნორმალურ ფიზიოლოგიაში: ტექნიკურ უნივერსიტეტში ფარმაციის სექტორზე, უნივერსიტეტში „ლეგია და კომპანია“, სამედიცინო ინსტიტუტში „დასტაქარი“, ექიმ-თერაპევტი, ლექციები პათოფიზიოლოგიაში ე. ფიფიას სახ. სამედიცინო ინსტიტუტსა და სამედიცინო ინსტიტუტში „თბილისი“

2005 წლიდან ლექციები ნორმალურ ფიზიოლოგიაში პეტრე შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემიაში

არის რიგი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ორგანიზატორი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი. არის IBRO-ს წევრი, საქართველოს ივანე ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ჟურნალის - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე“, ბიომედიცინის სერია - მთავარი რედაქტორის მოადგილე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით

2007 წელს მიენიჭა ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია სამეცნიერო შრომების ციკლისთვის „ნათხემისა და შუამდებარე ტვინის ურთიერთმოქმედება და მათი როლი თავის ტვინის ინტეგრაციულ მოქმედებაში“

1991-2004 - ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი

2001-2004 - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სადისერტაციო საბჭოს (რეპროდუქტოლოგია, ენდოკრინოლოგია) წევრი

2004 წლიდან - თსსუ სადისერტაციო საბჭოს (ნერვული სნეულებანი, ენდოკრინოლოგია, შინაგანი სნეულებანი) წევრი

2000 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის „მოსახლეობის ექიმამდელი პირველადი სამედიცინო დახმარების საგანამათლებლო-საკონსულტაციო ცენტრის“ თავმჯდომარის მოადგილე

ჩატარებული აქვს მუშაობა პირველადი ჯანდაცვის სფეროში

2001 - მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის გადაუდებელი ექიმამდელი დახმარების ორგანიზება და ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლება (გლდანის რაიონის #6 სკოლაში). პროექტი დააფინანსა საერთაშორისო ორგანიზაციამ „Mercy Corps“-მა

2002 – მოსწავლე ახალგაზრდობისთვის გადაუდებელი ექიმამდელი დახმარების ორგანიზება და ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლება (გლდანი-ნაძალადევის რაიონის #8 სკოლაში). პროექტი დააფინანსა საერთაშორისო ორგანიზაციამ „Mercy Corps“-მა

2003-2004 - პირველადი ჯანდაცვის ორგანიზება ახალციხისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. პროექტი დააფინანსა საერთაშორისო ორგანიზაციამ „Mercy Corps“-მა ისან-სამგორის რაიონებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამედიცინო კაბინეტების აღდგენის ხელშეწყობა. პროექტი დააფინანსა საერთაშორისო ორგანიზაციამ „Mercy Corps“-მა

2002 - გამოიცა წიგნი გ. ბექაიას თანაავტორობით „ექიმამდელი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“

უცხო ენების ცოდნა - რუსული, გერმანული - კარგად, ინგლისური - კითხვა, თარგმანი გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი

2018 წლის ოქტომბერი

## ავტობიოგრაფია

დავიბადე 1929 წლის 28 ოქტომბერს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. 1947 წელს ოქროს მედლით დავამთავრე თბილისის ვაჟთა 30-ე სკოლა, ხოლო 1953 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდში ვიყავი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, სტუდენტობისას შევასრულე რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის ორი ექსპერიმენტული, რომელთა მონაცემები თეზისების სახით გამოქვეყნდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის და საკავშირო ფიზიოლოგთა VIII ყრილობის მასალებში (1953 წ. ა. ბაკურაძესთან ერთად). 1954 წელს კონკურსით ჩავირიცხე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტად, სადაც 1959 წელს აკად. ი. ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით შევასრულე საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ტეტანური და ტონური ნეირომომტორული ერთეულების ფუნქციური თავისებურებანი“. 1957-1961 წლებში ვიყავი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ამ პერიოდში ი. ბერიტაშვილის წინადადებით დავიწყე მუშაობა ცნს-ის ფიზიოლოგიაში, კერძოდ ნათხემზე, და ფიზიოლოგიის ინსტიტუტში შევქმენი ნათხემის ფიზიოლოგიის მიმართულება, რომელზეც დღემდე ვმუშაობ.

1961-1973 წლებში ვმუშაობდი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად და შეთავსებით - ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივნად. 1973-1980 წწ. ვიყავი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1974-1976 წწ. შეთავსებით ვიმუშავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში მედიცინის პრობლემათა განყოფილებაში (შემდგომში ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება) სწავლულ მდივნად.

1981-1999 წწ. ვიყავი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1986-დან 2005 წლამდე ვიყავი ლაბორატორიის გამგე (ნათხემის და ქერქქვეშა ურთიერთობის, ნათხემის ფიზიოლოგიის, ცერებრო-ნეოკორტიკალური ურთიერთობის

ლაბორატორიები), 2005 წლიდან - კონსულანტი, 2006 წლიდან - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. 1990 წელს ქ. ერევანში დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნათხემური კონტროლი“. 1991 წელს სსრკ უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მომანიჭა პროფესორის წოდება.

გარდა ამისა, 1969-79 წწ. შეთავსებით ვეწეოდი პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად (საათობრივი ანაზღაურებით), 1991-97 წწ. - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორად (0.5 სამტატო ერთეულზე), 2001-2004 წწ. - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ (0.5 სამტატო ერთეულზე), 2004 წლიდან - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ფუნდამენტური მედიცინის კათედრის პროფესორად (2006 წლის 25 ივლისამდე), სადაც ლექციებს ვუკითხავდი რეზიდენტებს, უმცროს ექიმებს ვუტარებდი სარეზიდენტო მოდულებს. სხვადასხვა დროს ვკითხულობდი ლექციებს ნორმალურ ფიზიოლოგიაში: „ლეგია და კომპანია“-ს უნივერსიტეტში; სამედიცინო ინსტიტუტებში: „დასტაქარი“, „საქართველო“, „ოჯახის თერაპევტი“, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ფარმაციის კათედრაზე), ხოლო პათოფიზიოლოგიაში - ე. ფიფიას სახელობის სამედიცინო ინსტიტუტში, სამედიცინო ინსტიტუტში „თბილისი“. 2004 წლიდან ვმუშაობდი პ. შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში. არჩეული ვიყავი ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ. 2007 წლიდან ვიყავი ამავე აკადემიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. 2005-დან 2014 წლამდე ვირიცხებოდი ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტად, 2014 წლიდან ვარ სამეცნიერო საინფორმაციო განყოფილების უფროსი.

კვლევის ძირითადი მიმართულებებია: თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედება, ნათხემის ფიზიოლოგია, ტკივილი და ანტინოციცეფცია, აგრესიის ნერვული და

ნეიროენდოკრინული მექანიზმები, ცხოველთა ქცევა ნორმასა და სხვადასხვა პათოლოგიების პირობებში, რადიაციის, ფარმაკოლოგიური ნივთიერებების და ორგანიზმის სხვადასხვა დარღვევების გავლენის მექანიზმები თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, მიომეტრიუმის მოქმედების ნეიროქიმიური მექანიზმი და სხვ.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნებული მაქვს 200-მდე ნაშრომი და 2 გამოგონება. ვიყავი მრავალი სამეცნიერო ფორუმის ორგკომიტეტის წევრი და ორგანიზატორი (საერთაშორისო სიმპოზიუმები „გაგრის საუბრები“ – III (1959), IV (1962), V (1970), VI (1976) - პასუხისმგებელი მდივანი, VII (1979), VIII (1983) - ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო კონფერენციები - „ნათხემის სტრუქტურა და ფუნქცია“, II, IV და VI და (ერევანი, 1968, 1977, 1988) - ორგკომიტეტის წევრი, 5 საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი სისხლის მიმოქცევის საკითხებისადმი (1956-1983), თბილისი - ორგკომიტეტის წევრი; საკავშირო ელექტროფიზიოლოგიური კონფერენცია, თბილისი, 1966 - მდივანი; ნეიროგლიის ფუნქციის I და II საერთაშორისო სიმპოზიუმები (თბილისი, 1971, 1984) - ორგკომიტეტის წევრი; ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობა (თბილისი, 1975) - გენერალური მდივანი; ჰემისფეროთა ურთიერთობის საკავშირო კონფერენცია და სიმპოზიუმი (1975, 1978) - ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმი „ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“ (თბილისი, 1978, 1982 - ორგკომიტეტის წევრი; ნერვული და კუნთოვანი სისტემების თანამედროვე პრობლემები, საკავშირო კონფერენცია, მიძღვნილი ი. ბერიტაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, 1985 წელს - ორგკომიტეტის წევრი საერთაშორისო სიმპოზიუმი „ნეირობიოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, მიძღვნილი ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის 50 წლისთავისადმი, 1986 - ორგკომიტეტის წევრი; საერთაშორისო სიმპოზიუმი „ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგია“, თბილისი, 1986; - ორგკომიტეტის წევრი, შავი ზღვის ქვეყნების ექიმ-მედიკოსთა II საერთაშორისო კონფერენცია, ტრაბზონი, თურქეთი, 2000 -



ორგკომიტეტის წევრი; ამიერკავკასიის ფიზიოლოგთა I ყრილობა, ბორჯომი, 1995 - მდივანი; ამიერკავკასიის ახალგაზრდა ფიზიოლოგთა 5 კონფერენციის (თბილისი, ერევანი, ბაქო, თელავი, ერევანი) - ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; ბაკურიანის 10 სიმპოზიუმის „ნეირომეცნიერება“ - 1981-1990 - ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს ფიზიოლოგთა I ყრილობა, თბილისი, 1995 - ორგკომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს ფიზიოლოგთა II ყრილობა, თბილისი, 2000 - ორგკომიტეტის თანათავმჯდომარე; 2013 - საქართველოს ფიზიოლოგთა III ყრილობის ორგანიზატორი, ორგკომიტეტის თავმჯდომარე; ფიზიოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 2004 - ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; საერთაშორისო კონფერენცია „სამედიცინო რეაბილიტაცია და რაიტერაპია“, 20-24 ივნისი, 2006 - ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო კონფერენცია „ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიურობის სინდრომი და მოტორული, ქცევითი და სოციალური დარღვევები“, 17-19 სექტემბერი, 2007, თბილისი - ორგკომიტეტის თავმჯდომარე. მოხსენებით გამოვედი მრავალ ყრილობაზე და კონფერენციაზე. ვარ მრავალი კრებულის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს მეცნიერ-რედაქტორი: „გაგრის საუბრები“, 1960, ტ. 3 (კრებული); „გაგრის საუბრები“, 1960, ტ. 4 (კრებული); აკად. თ. ონიანი „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგიის საკითხები“ (მონოგრაფია); აკად. ვ. ოკუჯავა „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“, 1969 (მონოგრაფია); აკად. თ. ონიანი „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობა“, 1970 (მონოგრაფია); აკად. წ.კ ვ. მოსიძე, კ. აქბარდია „თავის ტვინის ნახევარსფეროთა ფუნქციური ასიმეტრია და სიმეტრია“, 1973 (მონოგრაფია); ფიზიოლოგთა XII საკავშირო ყრილობის შრომათა კრებული, 1975; კრებული „ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, 1978; პროფ. ე. მონიავა „თალამური ბირთვების გავლენა თავის ტვინის აქტიურობაზე“, 1985 (მონოგრაფია); „ნერვული და კუნთოვანი ფიზიოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, აკად. ი. ბერიტაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის თეზისები, 1985; აკად. ო. ღუდუშაური, ა.

გიორგაძე და სხვ. „ძვლების ერთეული მეტასტაზების ორთოპედიული ასპექტები“, 1995 (მონოგრაფია); მ. ლუღუშაური, მ. ჩხარტიშვილი და სხვ. „ძვლის კეთილთვისებიანი სიმსივნეების აღდგენითი მკურნალობა“, 1996 (მონოგრაფია); აკად. თ. იოსელიანი „ფიზიოლოგია (ვისცერალური სისტემები)“, 1995 (სახელმძღვანელო); აკად. თ. იოსელიანი „ფიზიოლოგია (კუნთოვანი და ნერვული სისტემები)“, 2001 (სახელმძღვანელო); საქართველოს ფიზიოლოგთა I ყრილობის მასალები, 1995; საქართველოს ფიზიოლოგთა II ყრილობის მასალები, 2000; საქართველოს ფიზიოლოგთა III ყრილობის მასალები, 2013; საერთაშორისო კონფერენციის „სამედიცინო რეაბილიტაცია და რაიტთერაპია“, მასალები, 2006; საერთაშორისო კონფერენციის „ყურადღების დეფიციტი/ჰიპერაქტიურობის სინდრომი და მოტორული, ქცევითი და სოციალური დარღვევები“, მასალები, 2007. ჩემი კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით შესრულებულია 20 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. ოპონენცია გავუწიე 14 სადოქტორო და 27 საკანდიდატო დისერტაციას.

1997-2005 წწ. ვმონაწილეობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგრანტო თემების შესრულებაში.

ვარ ი. ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, ჟურნალ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიომედიცინის სერია, მთავარი რედაქტორის მოადგილე, დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით, ვარ ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი. 1995 წელს ამირჩიეს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1998 წელს - საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 2006 წელს - რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკური აკადემიის აკადემიკოსად.

1961-2004 წწ. ვიყავი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, 2001-2004 წწ. - საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სადისერტაციო საბჭოს წევრი (სპეციალობა - რეპროდუქტოლოგია, ენდოკრინოლოგია), 2004 წლიდან ვარ თსსუ

სადისერტაციო საბჭოს (სპეციალობა - ნერვული სნეულებანი, ენდოკრინოლოგია, შინაგანი სნეულებანი) წევრი.

2000 წლიდან ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის - მოსახლეობის ექიმამდელი პირველადი სამედიცინო დახმარების საგანმანათლებლო საკონსულტაციო ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე. 2001-2004 წწ. - საერთაშორისო ორგანიზაცია „Mercy Corp.,“ საგრანტო დაფინანსებით ჩავატარეთ 4 ღონისძიება თბილისში, ახალციხესა და ქვემო ქართლში მოსწავლე ახალგაზრდობის ექიმამდელი დახმარების ორგანიზებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლების მიზნით. ჩემი თანაავტორობით 2002 წელს გამოიცა წიგნი „ექიმამდელი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“.

2007 წელს მომენიჭა ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია. ბოლო წლებში გამოვეცი 3 პოპულარული წიგნი „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია ყველასთვის“ (2014), „საოცრებანი მედიცინაში“(2 ნაწილი), 2016-2018 წ.

კარგად ვფლობ რუსულ და გერმანულ ენებს. ვკითხულობ და ვთარგმნი ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურას.

მყავს მეუღლე, ქალიშვილი, სიძე და ორი შვილიშვილი.

ქ. თბილისი, 2018 წ.